სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში)

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ.ამბროლაური

N ად–31
06/10/2022

31-01-4-202210061212

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ადმინისტრაციაში მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის ფორმით უზრუნველყოფის საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესახებ 51 და 52 მუხლების, „სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილების, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 18 მაისის N221 საქართველოს მთავრობის დადგენილების მუხლი 81 შესაბამისად:

1.შეიქმნას მოსახლეობის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის (ხანძრი, სტიქიური უბედურება ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები) მოთხოვნილი მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკითხების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქრისტინე კობახიძე-სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ცაგურიშვილი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;

ლევან ცხვედიანი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;

დავით ქემოკლიძე-მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი-კომისიის წევრი;

თამარ მიქიაშვილი-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავრი სპეციალისტი- კომისიის წევრი;

ეკატერინე გაგოშიძე-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ხათუნა ლობჯანიძე-მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

2. სახელმწიფო რწმუნებულის კომისიამ ადგილზე შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისობა ფაქტობრივ მდგომარეობასთან, მოამზადოს დასკვნა, თანდართულ ფოტოსურათებთან ერთად, ტყის მართვის ორგანოში წარსადგენად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ადმინისტრაციაში მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის ფორმით უზრუნველყოფის საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის 2022 წლის 31 იანვრის ად N1 განკარგულება;

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან/გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), ან ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პარმენ მარგველიძე

სახელმწიფო რწმუნებული

.